ეროვნული ბიბლიოთეკა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 199 (6254)

1978 წ. 10 ოქტომბერი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ვიტყობინებოდით, რომ შაბათს თბილისში ი. სტალინის სახელობის სანაპიროზე საზეიმოდ გაიხსნა ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსი, რომელსაც დედაქალაქის, ჩვენი რესპუბლიკის სპორტის მოყვარულები, ახალგაზრდობა, მშრომელები ასე ელოდნენ.

ზეიმზე ათასობით თბილისელი და დედაქალაქის სტუმარი შეგროვდა. ისინი მოწმენი იყვნენ საინტერესო სპორტული სანახაობისა, რომელშიც თბილისის უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, სკოლების ფიზკულტურელები მონაწილეობდნენ.

პროექტის მთავარი არქიტექტორის შ. ყავლაშვილის, არქიტექტორ რ. კიკნაძის, მხატვარ ნ. იგნატოვის, ტრესტ „ინჟმშენის" ნამუშევარმა საერთო აღიარება ჰპოვა.

ამ დღეს გამართულ ღღესასწაულს დაესწრნენ: ზ. პატარიძე, ვ. სირაძე, ე. შევარდნაძე, თ. მოსაშვილი, ჟ. შარტავა, ო. ჩერქეზია, ს. ხაბეიშვილი.

ამ სურათებზე სწორედ ზეიმის მომენტებია აღბეჭდილი. ზედა ფოტოზე თქვენ ხედავთ კომპლექსის საერთო ხედს; მოსკოვის „ტრუდის" სინქრონული ცურვის ოსტატები, რომლებმაც ზეიმი თავიანთი გამოსვლებით დაამშვენეს; რესპუბლიკის გამოჩენილ სპორტსმენებსა და მშენებლებს მოაქვთ საქართველოს სახელმწიფო დროშა; ნორჩები კომპლექსის სიმბოლური გასალებით.

მ. ზარგარიანის ფოტოები.





# ქვირფასი საჩუქარი





7 ოქტომბერს ბიჭვინთაში საზეიმოდ დაიხურა ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილ — მ. ჩიბურდანიძის მატჩი. მაია ჩიბურდანიძე დაფნის გვირგვინით შეამკეს და მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონად გამოაცხადეს.

•

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის ა. კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟი ბიჭვინთიდან იხ. მე-2 გვერდზე.

## სპორტსმენები მედლებს ითვლიან

საბჭოთა ძალოსანმა, ლენინაკანელმა იური ვარდანიანმა, რომელიც 82,5 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობდა, გეტისბერგის ფიცარნაგზე მსოფლიოს სამი რეკორდი დაამყარა. მან აიტაცა 171-კილოგრამიანი შტანგა, აჰკრა 207,5 კგ (მეოთხე ცდით 210,5 კგ) და ორჭიდის ჯამში 377,5 კილოგრამი მოაგროვა. ვერცხლის მედალი უნგრელ პეტერ ბაცაკოს ერგო — 352,5 კგ. ბრინჯაოსი — პოლონელ პაველ რაზჩევსკის — 345 კგ.

ვარდანიანის გამარჯვებამ ბევრი სპეციალისტი გააოცა. ის ხომ სულ ახლახანს გადავიდა ახალ წონით კატეგორიაში, „აკლიმატიზაციისთვის" კი არა მხოლოდ ახალგაზრდებს, გამოცდილ ოსტატებსაც დიდი დრო სჭირდებათ. შარშანდელ ჩემპიონატზე სერგო ვარდანიანის ასაზრდელმა (იგი მსოფლიო ჩემპიონის ბიძაა და წარსულში თვითონაც კარგი ძალოსანი გახლდათ) 75 კგ წონით კატეგორიაში მოიხვეჭა პლანეტის პირველი ძალოსნის სახელი.

75 კგ-მდე წონით კატეგორიაში მოასპარეზეთა შორის გაიმარჯვა კუბელმა ათლეტმა რობერტო ურუტიამ — 347,5 (155+192,5). მეორე ადგილზეა მონრეალის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი და ევროპის წლევანდელი ჩემპიონი ვართან მილიტოსიანი (ლენინაკანი) — 337,5 (147,5+190 კგ), მესამეზე — პეტრე ვენცელი (გდრ) — 335 კგ.

### ძალოსნობა

ოლიმპიურმა ჩემპიონმა დავით რიგერტმა 100 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეხუთედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. მან ორჭიდის ჯამში 390 (170+220) კილოგრამი მოაგროვა. ზუსტად ასეთივე შედეგი ჰქონდა შეჯიბრების დებიუტანტს კრასნოდარელ სერგეი არაქელოვს, მაგრამ იგი ცოტათი მძიმე აღმოჩნდა რიგერტზე. არაქელოვი ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა. ბრინჯაოს მედალი კი მანფრედ ფუნკეს (გდრ) ერგო — 367,5 კილოგრამი.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში გაიმარჯვა როლფ მილზერმა (გფრ) — 377,5 (162,5+215) კგ. მეორე ადგილზეა როსტოველი გენადი ბესონოვი — 372,5 კგ. მესამეზე — უნგრელი ფერენც ანტალოვიჩი — 367,5 კგ.

ას კილოგრამ წონით კატეგორიაში ყველას აჯობა დნეპროპეტროვსკელმა იური ზაიცევმა. მან ორჭიდის ჯამში 402,5 (172,5+230) კგ მოაგროვა და მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

ოქროს ბოლო მედლის მფლობელი გახდა 25 წლის იურგენ ხოიზერი (გდრ) — 417,5 (185+232,5) კგ. ასეთივე შედეგით მეორე ადგილზეა დნეპროპეტროვსკელი სულთან რახმანოვი, რომელიც მოწინააღმდეგეზე მძიმე აღმოჩნდა. ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვასილი ალექსეევმა შეჯიბრების დროს მიღებული ტრავმის გამო უარი განაცხადა ასპარეზობის გაგრძელებაზე.

ამრიგად, საბჭოთა ძალოსნებმა ხუთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლით გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს. მეორე ადგილზე არიან კუბელი ათლეტები (2 „ოქრო", 1 „ბრინჯაო"), მესამეზე — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი (1 „ოქრო", 1 „ვერცხლი", 4 „ბრინჯაო").








# მატჩის ბოლო აკორდი

## მაია ჩიბურდანიძე დაფნის გვირგვინით შეამკეს

გასულ შაბათს ბიჭვინთის საკურორტო დარბაზში დიდძალი გულშემატკივარი დაესწრო ქალთა მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილ — მ. ჩიბურდანიძის მატჩის საზეიმო დახურვას. დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ გამოჩენილ მოჭადრაკეებს.

შეჯიბრების სპორტულ და შემოქმედებითს შედეგებზე ილაპარაკა მატჩის მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა ი. შაიტარმა (ჩეხოსლოვაკია).

ფიდე-ს პრეზიდენტის მ. ეივეს სახელით მონაწილეებს მიესალმა ფიდე-ს გენერალური მდივანი ი. ბაკერი (ჰოლანდია). მან და ი. შაიტარმა დაფნის გვირგვინით შეამკეს მაია ჩიბურდანიძე, რომელსაც ოქროს მედალიც გადაეცა. მერე ჰოლანდიელმა საჭადრაკო მოღვაწემ ვერცხლის მედალი გადასცა ნონა გაფრინდაშვილს.

დასასრულს სიტყვა წარმოთქვა მსოფლიოს ახალმა ჩემპიონმა მაია ჩიბურდანიძემ. მან განაცხადა, რომ შეეცდება ღირსეულად ატაროს უმაღლესი წოდება.

სურათებზე აღბეჭდილია მატჩის სხვადასხვა მომენტი. აი, ი. შაიტარი მაიას გამარჯვებას ულოცავს; ფიდე-ს გენერალური მდივანი ი. ბაკერი ვერცხლის მედალს გადასცემს ნონა გაფრინდაშვილს. მსოფლიოს ახალი ჩემპიონის სახელდახელო შეხვედრა გულშემატკივრებთან; ახალი მსოფლიო ჩემპიონის პირველი ავტოგრაფი.

ბიჭვინთა ჯერ კიდევ განაგრძობს ჭადრაკით ცხოვრებას. ამჟამად აქ არიან სსრ კავშირის ვაჟთა და ქალთა გუნდები, რომლებიც არგენტინის საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის ემზადებიან. 25 ოქტომბრისთვის ყველანი გეზს ბუენოს-აირესისკენ აიღებენ.



# მშვიდობის საქმის სამსახურში

რაც უფრო დაახლოვდებიან ადამიანები, რაც უფრო ახლო გაიცნობენ ერთმანეთს, რაც უფრო მჭიდრო იქნება ქვეყნებს, კონტინენტებს შორის კონტაქტები, მით უფრო მტკიცე იქნება მშვიდობა.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ხალხთა დაახლოების ისეთი ფორმა, როგორიც დაძმობილებული ქალაქებია. ამ კავშირების განმტკიცებისთვის დაძმობილებული ქალაქების საერთაშორისო ფედერაციამ ფართო პროგრამა დასახა. მისი საქმიანობის ასპექტში ერთი ასეთია გუშინწინ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში დაწყებული საერთაშორისო კონფერენცია.

ამ კონფერენციაზე სამსჯელოდაა გამოტანილი საკითხი „ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების როლი ქალაქებში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში“. ეს პრობლემა ერთ-ერთი პირველხარისხოვანია თუნდაც იმიტომ, რომ იგი ათეული და ასეული მილიონი ადამიანის, ჩვენი პლანეტის მოსახლეობის ჯანმრთელობას ეხება.

ამ საკითხთა განსახილველად თბილისს ეწვია 15 ქვეყნის ქალაქის მერები და ხელისუფალთა სხვა წარმომადგენლები — 130 დელეგატი. ისინი წამყვან საბჭოთა სპეციალისტებთან ერთად განიხილავენ პრობლემის ყველაზე აქტუალურ და სიცოცხლისეულ საკითხებს.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ იქცა ფიზკულტურა და სპორტი, მშრომელთა ჯანმრთელობაზე, ყოველმხრივ განვითარებული, სულიერად ძლიერი, მორალურად წმინდა, ფიზიკურად სრულყოფილი ახალგაზრდობის აღზრდისთვის ზრუნვა. ამ მხრივ ისეთი მასშტაბებით, როგორიც ჩვენს ქვეყანაშია, მსოფლიოს ვერც ერთ სხვა ქვეყანაში ვერ დაიქადნიან. სწორედ ამიტომაც სსრ კავშირის ერთ-ერთი ქალაქი აირჩიეს ასეთი წარმომადგენლობითი, მეტად საჭირო ფორუმისთვის.

შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ამ ფორუმის მასპინძლობა სწორედ საქართველოს ძველი, მდიდარი სპორტული ტრადიციების დედაქალაქს — თბილისს ერგო.

ფორუმის საორგანიზაციო კომიტეტმა, რომელსაც სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ბ. ლობჟანიძე მეთაურობს, ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის დროულად იზრუნა — დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწია ძვირფასი სტუმრების ღირსეული მასპინძლობისთვის, კონფერენციის ნორმალური, ნაყოფიერი მუშაობისთვის.

ამ თავყრილობის საქმიანობაში ცნობილი სპორტული მოღვაწეების, მათ შორის საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრთა მონაწილეობა კიდევ უფრო აამაღლებს კონფერენციის პროფესიულ დონეს.

ფორუმის პროგრამა მრავალფეროვანია. იგი ითვალისწინებს განსახილველი თემის სხვადასხვა ასპექტში გამოსვლებსა და განცხადებებს. კერძოდ, იმსჯელებენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების როლზე ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში, ეროვნული და საერთაშორისო მასშტაბის სპორტულ შეჯიბრებათა ორგანიზაციაზე, სპორტის ერთ ან რამდენიმე სახეობაში ასპარეზობათა გამართვის შესახებ და სხვ.

კვირას თბილისის ჭადრაკის სასახლეში კონფერენცია გახსნა **ბ. ლობჟანიძემ.** შეკრებილთ რესპუბლიკის მთავრობის სახელით მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია,** რის შემდეგ კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს ორი ძირითადი მოხსენება დაძმობილებული ქალაქების საერთაშორისო ფედერაციის თბილისის კონფერენციის გენერალური დელეგატის მოადგილის **ფ. დელავენისა** და **ბ. ლობჟანიძისა.**

კონფერენციის ორ კომისიაში დაიწყო მსჯელობა: ა) ბავშვთა, მოზარდთა, მოზრდილთა და ხანშიშესულთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისა და ბ) დაძმობილებულ ქალაქებს შორის ეროვნული და საერთაშორისო სპორტული ურთიერთობის საკითხებზე.

საღამოს კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალიერეს ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსი, დაესწრნენ სპორტსმენთა გამოსვლებს, იყვნენ კონცერტზე.

გუშინ კონფერენციის მონაწილეები გაეცნენ ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, იყვნენ „დინამოს“ სტადიონზე, სპორტის სასახლეში... შემდეგ კომისიები მუშაობას აგრძელებდნენ, საღამოს კი დაესწრნენ ხელოვნების ოსტატთა კონცერტს.

დღეს კომისიები მუშაობას ამთავრებენ, ხვალიდან კი თელავს ესტუმრებიან. წინანდალში ინახულებენ ა. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს, თელავში შეხვდებიან სოფლის მშრომელებს, მონაწილეობას მიიღებენ რთველში, მოინახულებენ იყალთოს აკადემიას.

## ჯანმრთელობა სპორტით

### ზუგდიდი

დოსააფის საქალაქო კომიტეტმა ჩაატარა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანისა და პისტოლეტის სროლაში. ცეცხლის ხაზზე გამოვიდა 220 სპორტსმენი. შაშხანით ასპარეზობა მოიგო ა. მიშველიანმა (ენგურქაღალდკომბინატი), რომელმაც 50-დან 49 ქულა მოაგროვა. პისტოლეტის სროლაში იმარჯვა ზ. ფარცვანიამ (ზუგდიდის იზოლიტი) — 44.

* * *

ქალაქის პირველობა გასამხედროებულ კროსში, რომელშიც 80 კაცი მონაწილეობდა, 135 საჯარიმო ქულით მოიგო გ. ჭითანავამ (სამგზავრო ავტოსატრანსპორტო კანტორა). მოზარდებს შორის პირველი იყო ავტოსკოლის გუნდის წევრი ზ. ავალიანი — 88 საჯარიმო ქულა. მრავალჭიდის პროგრამაში შედიოდა ტყვიის სროლა, ხელყუმბარის ტყორცნა და ერთ კილომეტრზე კროსი.

**შ. ლემონჯავა,**
**ზუგდიდის დოსააფის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.**

### ცხინვალი

რაიონის კალათბურთელ ვაჟთა შეჯიბრებაში ექვსი კოლექტივი მონაწილეობდა. ყველას აჯობა არცევის საბჭოთა მეურნეობის ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ კეხვისა და ქსუისის კოლმეურნეობების გუნდები.

**მ. მელქოევი.**

# ჩვენივე შვილების ჯანმრთელობისათვის

## დრო გამოძებნეთ, მამებო!

„ლელომ“ მეტად საჭირო საქმეზე წამოიწყო საუბარი. რა თქმა უნდა მოზარდთა ფიზიკური აღზრდის საკითხებზე ადრეც ისტამბებოდა წერილები, მაგრამ საკითხის ახლებურად დასმამ, როგორც გამოხმაურებებიდან ჩანს, მშობლების, განსაკუთრებით კი მამების, ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

„დრო გამოძებნეთ, მამებო!“ ეს მოწოდებაცაა და მოვალეობის შეხსენებაც, მოვალეობისა, რომელიც ჩვენ, მშობლებს, ჩვენი შვილების აღზრდაზე გვაკისრია. ახლა კი მოდით, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ: განა ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენივე ნაშიერები ჯანსაღნი და ფიზიკურად სრულყოფილნი იყვნენ? დარწმუნებული ვარ, ბევრ ჩვენგანს გაუჭირდება ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა, თუმცაღა ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ დილის ვარჯიშის გარეშე, ფიზკულტურისა და სპორტის გარეშე, უბრალოდ რომ ვთქვათ, ბურთაობისა და ლაღად ნავარდის გარეშე, მომავალი თაობა ფიზიკურად მრთელი და გამოწრთობილი ვერ იქნება. ისიც კარგად გვესმის, რომ ჩილაჯო და დაბეჩავებული მოზარდი, როცა იგი ცხოვრების ასპარეზზე გავა, დიდ სიმაღლეებს ვერა და ვერ შეეჭიდება.

მაშ, რა გვიშლის ხელს, რა გვბოჭავს? რატომ არ გვინდა, რომ ჩვენმა შვილებმა სპორტულ სექციებში ივარჯიშონ, საღამოს, როცა გაკვეთილებს მოამზადებენ, ეზოში გამოვიდნენ და ბურთი გააგორონ? არა, დრო აქ არაფერ შუაშია. ისევ და ისევ გულგრილობა და ის „რკინის ლოგიკაა“ დამშანავე, ბევრი მშობლის შეგნებაში მტკიცე საძირკველი რომ უპოვნია. ამ „ლოგიკის“ მიხედვით მოზარდი მუდამ წიგნებს უნდა ჩასჩიჩინებდეს, მუსიკასა და უცხო ენასაც უნდა დაეუფლოს, ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობა კი შეიძლება ხვალისთვის გადაიდოს. ხვალ სხვა საზრუნავი ჩნდება, სხვა სიმაღლე, უფრო რთული და ძნელად მისაწვდომი, ფიზკულტურა ვილას ახსოვს. გადის დრო და გვიკვირს, რომ ჩვენი შვილები დონდლოები და უსიცოცხლონი, ნერვიულნი და უნებისყოფონი არიან. მაგრამ უკვე გვიანაა, ყოველ შემთხვევაში, ბევრის გამოსწორება უკვე აღარ შეიძლება. და აქ ისევ ის ცნობილი გამოთქმა მოგვაგონებს თავს: „ვინც არ დარბის როცა ჯანმრთელია, მოუწევს სირბილი, როცა დაავადდება“.

მტკიცება არ უნდა იმას, რომ ოჯახში ქალი უფრო დაკავებულია, ვიდრე მამაკაცი. ამიტომ შვილების ფიზიკური აღზრდისთვის ისევ ჩვენ, მამებმა უნდა ვიზრუნოთ. მთავარია ბავშვს დილის ვარჯიში, სირბილი და ბურთაობა სასიცოცხლო მოთხოვნილებად, ჩვეულებად გადაექცეს. მერე ბევრიც რომ დაუშალო, თვითონვე გამოძებნის დროს. აქ მშობლებს სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლებიც უნდა ამოუდგნენ მხარში. ამ დარგის პედაგოგებზე ბევრი რამაა დამოკიდებული. თუ მოზარდი სკოლაში ფიზკულტურით „მოიწამლა“, იგი მას ვერც სახლში ყოფნისას შეელევა. არც უნდა შეელიოს, კვირაში ორი გაკვეთილი ხომ ნორჩი სხეულის მოძრაობის მოთხოვნილებას მხოლოდ ნაწილობრივ თუ აკმაყოფილებს. ჩვენ კი არ უნდა ჩავახშოთ, არამედ უნდა გავზარდოთ ეს მოთხოვნილება, ჩვენივე შვილების ჯანმრთელობისთვის, მათი ბედნიერი მომავლისთვის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არნახული ტექნიკური პროგრესისა და პეშმარიტად გრანდიოზულ მიღწევათა საუკუნეში ვცხოვრობთ. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ კი ძირფესვიანად შეცვალა ადამიანების ყოფა-ცხოვრების პირობები. კარგია ეს თუ ცუდი? საკითხის ასე დასმა, სხვა თუ არაფერი, უხერხული იქნებოდა, მაგრამ ცხადია, რომ „ჭკვიანმა“ მანქანებმა საყოფაცხოვრებო კომფორტმა ბევრ სიკეთესთან ერთად საფიქრალიც ბევრი გაგვიჩინა. ახლა ჩვენი შვილები ლიფტით ადი-ჩამოდიან სართულებზე, მანქანით დადიან სკოლაში და უკანვე მანქანით ბრუნდებიან. შემდეგ წიგნები, მუსიკა, ტელევიზორი... თოთო სხეული კი თავისას მოითხოვს.

აქ ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. ადრე ქალაქის გარეუბანში ვცხოვრობდით. ჩვენს სახლს საკმაოდ დიდი ეზო ჰქონდა და სპორტული მოედნებიც არ გვაკლდა. საღამო ხანს ბავშვების ჟრიამული აცოცხლებდა იქაურობას. ერთნი კალათბურთს თამაშობდნენ, სხვები ტყავის ბურთს დააგორებდნენ, ზოგიერთები კი ტანვარჯიშულ იარაღებზე სინჯავდნენ მკლავისა და მუხლის ძალას. ხშირად მოზრდილებიც ბავშვებთან ერთად ვერთობოდით ხოლმე. ორიოდე წელია, რაც ჩვენი ოჯახი ქალაქის ცენტრში, ახალ ბინაში გადმოვიდა. აქ ერთი ციცქნა ეზო გვაქვს, ისეთი, თაგვი კუდს რომ ვერ მოიქნევს, სპორტული მოედანი რა სახსენებელია. ჰოდა, საღამო ხანს ბავშვების მხიარული ჟრიამულიც აღარ მესმის, მშობლებსაც დაგვეკარგა ხალისი. ამით ის მინდა ვთქვა, რომ დროისა და სურვილის გარდა, პირობებიც აუცილებელია. ამას კი ხშირად არ ითვალისწინებენ ისინი, ვისაც საცხოვრებელი კორპუსების გვერდით სპორტული მოედნების მოწყობაც ევალებათ. გამოდის, რომ ჩვენივე უყურადღებობითა და დაუდევრობით ჩვენივე სურვილს ვუხშობთ გზას.

როგორც ინჟინერი სოსო ერთელიშვილი წერს, ჩვენ მართლა ვიტყუებთ თავს, როცა გვეჩვენება რომ დრო არ გვყოფნის.

**ი. ინასარიძე.**

ფეხბურთი

# ისევ უნგრელთა წინააღმდეგ

ხვალ ბუდაპეშტში გაიმართება ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი VI ჯგუფში უნგრეთისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის. საკდესის კორესპონდენტი ბუდაპეშტში ვ. ნემციოვი ესაუბრა უნგრეთის ნაკრების მწვრთნელს ფ. კოვაჩს, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

— მატჩი ძალზე საინტერესო იქნება. ჩვენ, რასაკვირველია, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა წარმატებით ჩავატაროთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი, მაგრამ აუცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში ის, რომ უნგრეთის ნაკრები ახლა პრაქტიკულად ახლად დაკომპლექტებულ კოლექტივს წარმოადგენს და ამდენად რთული ამოცანების გადაჭრა მოელის. ის გუნდი, რომელიც არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატზე გამოდიოდა, შეთამაშებული კოლექტივი იყო, რომელიც რამდენიმე წლის მანძილზე იქმნებოდა. მზადების ოთხწლიანი ციკლი მწვრთნელებს 2 ეტაპად ჰქონდათ დაყოფილი: პირველი 2 წლის მანძილზე საჭირო იყო რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მოთამაშეთა გასინჯვა, მათგან საუკეთესოთა შერჩევა, შემდგომი 2 წელი კი დაეთმო შემადგენლობის შეთამაშებას. გუნდს გარკვეული ამოცანა ჰქონდა დასახული — დაეძლია შესარჩევი ეტაპის ზღუდე, მაგრამ მდგომარეობის სალი შეფასება, მოთამაშეთა შესაძლებლობანი არ სახავდა არგენტინაში დიდ წარმატებათა მიღწევის ილუზიებს და ეს ასეც მოხდა.

მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ რადიკალური ცვლილებების მოხდენა გუნდში არ იყო გათვალისწინებული, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მოგვიხდა საგრძნობი კორექტივების შეტანა შემადგენლობაში. პირველ ყოვლისა, გარკვეული როლი ითამაშა ტრავმებმა, რის გამოც არგენტინული შემადგენლობიდან 6 მოთამაშე დიდი ხნით გამოვიდა მწყობრიდან. ამას გარდა, ზოგიერთმა ფეხბურთელმა, კერძოდ, თავდამსხმელმა ფაზეკაშმა ვერ აჩვენა ის თამაში, რომელსაც მისგან მოველოდით. უნგრეთის ნაკრების 2 წამყვანი მოთამაშე — ნილაში და ტერეჩიკი ერთი წლით არიან ნაკრებიდან გაყვანილი არგენტინაში ჩადენილი უდისციპლინო საქციელისთვის.

ყველაფერი ამის გამო უნგრეთის გუნდი ჰელსინკში მნიშვნელოვნად შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდა ფინელებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში და დამარცხებაც განიცადა — 1:2. ამას გარდა, ჩვენ არასაკმარისად ვიცნობდით მეტოქეს.

სსრ კავშირის ნაკრებთან შესახვედრად მოთამაშეთა მზადება წარმოებდა თავიანთ კლუბებში. 4 ოქტომბერს გაიმართა უნგრეთის ჩემპიონატის მორიგი ტური, რის შემდეგ ნაკრების წევრებმა თავი მოიყარეს საწვრთნელ ბანაკში ერთობლივი ვარჯიშისთვის. მზადებას ძირითადად გადიოდნენ იგივე მოთამაშეები, რომლებიც ფინეთში იმყოფებოდნენ.

ფ. კოვაჩმა დაასახელა სსრ კავშირთან მატჩის კანდიდატი ფეხბურთელები: **მეკარეები** — ბრიუნი და გუიდარი, **მცველები** — პაროცაი, ბალინტი, კერეკი, ლუკაჩი, მარტოში, **ნახევარმცველები** — კოვაჩი, დიმეში, ტატარი, პალი, **თავდამსხმელები** — კარდოში, ტიბერი, ფეკეტე, სოკოლაი და ვარადი.

ამ 16 ფეხბურთელიდან უნგრეთის ნაკრების სახელს განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში იცავდნენ მხოლოდ გუიდარი, კერეკი, ბალინტი და მარტოში.

სსრ კავშირისა და უნგრეთის ფეხბურთელები [illegible] შეხვედრიან ერთმანეთს ოფიციალური თუ ამხანაგური საერთაშორისო მატჩების დონეზე. 1958 [illegible] როპის თასზე [illegible] რებმა ორჯერ [illegible] ლები — 3:1 და 1:0, 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალში კვლავ იქნა მოპოვებული გამარჯვება — 2:1, ხოლო 1968 წლის ევროპის ჩემპიონატში — 0:2 და 3:0. 1972 წლის კონტინენტის პირველობაზე საბჭოთა ფეხბურთელებმა ისევ გაიმარჯვეს — 1:0, მაგრამ არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში სსრ კავშირის ნაკრები ვერ გავიდა იმის გამო, რომ წააგო სწორედ უნგრელ ფეხბურთელებთან — 0:2, თუმცა პირველი მატჩი მოგებული ჰქონდა ანგარიშით 2:1.

სულ სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდებს ერთმანეთს შორის ნათამაშევი აქვთ 14-ჯერ. 7 მატჩი მოიგო საბჭოთა გუნდმა, 3 — უნგრეთმა, 4 დამთავრდა ფრედ. ბურთების შეფარდებაა 19:12 საბჭოთა გუნდის სასარგებლოდ.

---

# თბილისის „დინამოს“ მეტოქე

**ფეხბურთის** მოყვარულებმა კარგად იციან, რომ უეფა-ს თასზე თბილისის „დინამოს“ მომავალი მეტოქეა დასავლეთ გერმანიის გუნდი „ჰერტა“. ჩვენს მეტოქეზე „ლელოში“ უკვე იყო გამოქვეყნებული წერილი, ახლა გთავაზობთ ახალ მონაცემებს.

1977 წელს „ჰერტას“ სათავეში ჩაუდგა ახალი მწვრთნელი კ. კლიოტცერი, რომელიც მანამდე დიდი წარმატებით მუშაობდა „ჰამბურგში“ (ამ კლუბმა გამარჯვება მოიპოვა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის 1977 წლის გათამაშებაში). მწვრთნელმა თავისი გადაწყვეტილება ახსნა იმით, რომ აინტერესებს მუშაობა დაიწყოს კლუბთან, რომელიც ბოლო 2 წლის მანძილზე არაფრით გამოირჩეოდა და გფრ-ის ჩემპიონატში საშუალო ადგილებზე გადიოდა. მწვრთნელს იმედი აქვს გუნდი საპრიზო ადგილზე გაიყვანოს.

1970-1971 წლებში „ჰერტამ“ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონატებში ზედიზედ დაიკავა III საპრიზო ადგილი და 1975 წელს ვერცხლის მედლებიც მოიპოვა, მაგრამ შემდგომში 2 სეზონის მანძილზე გუნდი ჩამოქვეითდა XI და X ადგილებამდე. კ. კლიოტცერის მოსვლამ მნიშვნელოვანი დაღი დაამჩნია „ჰერტას“ თამაშს და მიუხედავად იმისა, რომ გუნდიდან წავიდა წამყვანი მოთამაშე კოსტედე, კლუბმა 1978 წლის ჩემპიონატში III-ადგილი დაიკავა და ამ წარმატებამ უფლება მისცა „ჰერტას“ უეფა-ს თასზე მიეღო მონაწილეობა.

ახალმა მწვრთნელმა დიდი ცვლილებები მოახდინა გუნდში. წავიდნენ ხანდაზმული თავდამსხმელები გრაუ და კრისტენსენი (ეს ფეხბურთელი დანიელია), რომელთა ნაცვლად მოწვეული იქნენ ფორვარდები მილევსკი, აგარბეკი და ნახევარმცველი ბლეკშმიდტი. ყველა ეს ფეხბურთელი კ. კლიოტცერს ახსოვს ჭაბუკობიდან, დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალს მათს თამაშს და ამიტომ გამოუცხადა ახალგაზრდებს ასეთი ნდობა (მილევსკი 21 წლისაა, ბლეკშმიდტი —25-ის, ხოლო აგარბეკი—22-ისა).

ბუნდესლიგის ახლანდელ ჩემპიონატში „ჰერტამ“ განვლილ 7 ტურში 2 გამარჯვება მოიპოვა, 1 ფრე გააკეთა და 4 მატჩი წააგო (ბურთების სხვაობა 12-13). მიუხედავად ამისა, მწვრთნელს მიაჩნია, რომ სასტარტო წარუმატებლობანი ბუნებრივი ამბებია და გუნდში მომხდარი გარდაქმნები ბოლოს კეთილნაყოფიერ შედეგებს გამოიღებს. „რა თქმა უნდა, ჩვენ შეგვეძლო ძველებურად გვეთამაშა, — განაცხადა მან, — მაგრამ შარშანდელი შედეგი გუნდის მაქსიმუმი იყო, ჩვენ კი წინ უნდა ვიყუროთ და არ მოვერიდოთ სიახლეებით გამოწვეულ დროებით წარუმატებლობებს“.

„ჰერტამ“ მეხუთე ტურში დიდი ანგარიშით წააგო მატჩი კლიოტცერის ყოფილ გუნდთან „ჰამბურგთან“ — 1:4, მაგრამ უკვე მომდევნო ტურში ასეთივე ანგარიშით დაამარცხა გათამაშების ერთ-ერთი ლიდერი — დიუსელდორფის „ფორტუნა“, ამასთან 3 გოლი გაიტანა ბეერმა და 1 — აგერბეკმა. VII ტურში „ჰერტამ“ თანაბარ, დაძაბულ ბრძოლაში დათმო გასვლითი მატჩი „დუისბურგთან“ — 2:3.

მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ „ჰერტა“ ჩვეულებრივ გვიან შედის ფორმაში, მაგრამ ბოლო მატჩების შთაბეჭდილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი თანდათან და მეთოდურად აძლიერებს თამაშს.

კ. კლიოტცერი უპირველესად ყოვლისა ეძებს შეტევის გაძლიერების გზებს. ეს იმით ჩანს, რომ გუნდის დაცვა ყველა მატჩში ერთი და იგივე შემადგენლობით გამოდის, ნახევარდაცვა და თავდასხმა კი იცვლება. კარს იცავს „მალქედან“ 2 წლის წინ გადმოსული 30 წლის მეკარე ნიგბური. მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი უეფა-ს მატჩში ბულგარეთის „თრაკიასთან“ პლოვდივში. მისი დუბლიორია ვერნერი.

დაცვაში ყველაზე შესამჩნევი ფიგურაა 29 წლის სტოპერი კლაიმანი, რომელიც ადრე ფრანკფურტის „აინტრაჰტში“ გამოდიოდა და გფრ-ის ნაკრებშიც აქვს ნათამაშევი. ეს 196 სმ სიმაღლის ფეხბურთელი უკვე მეხუთე წელია „ჰერტაში“ გამოდის. მეორე სტოპერია 31 წლის ბრიუკი, გუნდის მთავარი პენალტისტი.

მარჯვენა მცველია 27 წლის სციდატი (180 სმ), ხოლო მარცხენა მცველი — 28 წლის ვაინერი (182 სმ). შემცვლელებად გამოდიან 26 წლის რასმუსენი (182 სმ) და 23 წლის ფიორსტერი (187 სმ).

ნახევარდაცვის ხაზში მუდმივი ადგილი აქვს მხოლოდ გუნდის კაპიტანს, არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეს, 32 წლის ბეერს. მისი პარტნიორები ხშირად იცვლებიან. ესენია 29 წლის ნუსინგი და 24 წლის ზიდკა (სიმაღლე — 185 სმ), აგრეთვე ბლეკშმიდტი.

ნახევარდაცვიდან ცენტრალურ თავდამსხმელად იქნა გადაყვანილი 32 წლის გერსდორფი, რომელიც ადრე თამაშობდა მიუნხენის „ბაიერნში“ და ბრაუნშვაიგის „აინტრახტში“, მიწვეული იყო ნაკრებშიც. მარჯვენა გარემარბის ადგილზე გამოდის 27 წლის გრანიტცა (სიმაღლე — 181 სმ), რომელმაც 2 გოლი გაიტანა „თრაკიასთან“ მატჩში. მარცხენა ფლანგზე მორიგეობით თამაშობენ მილევსკი და აგერბეკი.

---

# დამარცხება აუტსაიდერთან

## პირველი ლიგა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 8 ოქტომბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:3 (0:2).

„ტორპედო“: მჭედლიძე, ზ. სვანიძე, გოგოლაძე, მელიქია, ხუცურაული, თევზაძე, ბურკაძე (წვერავა), ქვირია (გვაძაბია), ა. კვერნაძე (ცვაჰანტირაძე), შელია, ებანოიძე.

„სპარტაკი“: გრებენიუკი, კოზირევი (კაიტუკოვი), ხუანოვი, ვასილიევი, საფრონიდი, მირიკოვი, კერაშვილი, ხუადონოვი, მანაჩინსკი, ზაზროევი (ბუგულოვი), ტიტოვი (ბორზენკო).

მსაჯი ვ. პლატონოვი (მოსკოვი). დუბლიორები — 1:0.

ძნელია ამ მატჩის რეცენზიისას არ გამოთქვა ქუთაისელ ფეხბურთის მოყვარულთა დიდი გულისწყრომა „ტორპედოს“ მთელი კოლექტივის მიმართ. ბოლო ხანების სერიოზულ წარუმატებლობაში ბრალი მიუძღვით ხელმძღვანელებსაც და ფეხბურთელებსაც, რომლებიც უკიდურესად დაბალ სპორტულ დონეზე, ყოველგვარი მონდომების გარეშე, ინერტულად და უ'ისტემოდ ატარებენ საკავშირო გათამაშების საპასუხისმგებლო მატჩებს. რის თქმა შეიძლება მას შემდეგ, რაც ამჟამად შექმნილ სიტუაციაში ტორპედოელებმა თავიანთ მინდორზე მარცხი განიცადეს გათამაშების აუტსაიდერთან შეხვედრაში. ორჯონიკიძელ ფეხბურთელთა გამარჯვება შემთხვევითი არ იყო — მათ უკეთ ითამაშეს და 2 ქულაც დამსახურებულად აიღეს.

მატჩის დასაწყისში სტუმრებმა რამდენიმე სწრაფი შეტევა განახორციელეს, რომელთაგან ერთ-ერთი 19-ე წუთზე გოლით დაამთავრა ბაზროევმა. „სპარტაკი“ განაგრძობდა იერიშებს, მასპინძელთა კარიან ხშირად შეიქნა 5-6 სახიფათო მომენტი, გრებენიუკის სიახლოვეს კი იშვიათად თუ ირღვეოდა იმყუდროვე.

37-ე წუთზე სპარტაკელთა ყველაზე უფრო აქტიურმა თავდამსხმელმა ხუადონოვმა, რომლის წინააღმდეგ ტორპედოელთა მცველები ვერაფერს გახდნენ, შეძლო ინდივიდუალური გარღვევის შესრულება და მეორე ბურთი გაიტანა.

შესვენების შემდეგ მდგომარეობა შედარებით გათანაბრდა, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ ორჯონიკიძელები უმთავრესად ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნავდნენ, შუა მინდორში ათამაშებდნენ ბურთს, მაგრამ ერთ-ერთ მომენტში ბორზენკო გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე და მესამედ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში.

ერთადერთი, რაც მასპინძლებმა შეძლეს, ებანოიძის მიერ 77-ე წუთზე გატანილი საპასუხო გოლი იყო.

I ლიგის გათამაშების დამთავრებამდე 5 ტურია დარჩენილი. ქუთაისის „ტორპედოს“ ჯერ კიდევ აქვს შესაძლებლობა რამდენადმე მაინც გამოასწოროს მდგომარეობა.

ზ. ნიჟარაძე,
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „კუბანი“ (კრასნოდარი) 2:1, ასკ (ოდესა)— „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 0:0, „კარპატი“ (ლვოვი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) 2:0, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:0, ასკ (დონის როსტოვი) — „თერგი“ (გროზნო) 3:2, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „კოლხოზჩი“ (აშხაბადი) 2:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „პამირი“ (დუშანბე) 1:0, „დინამო“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (მინსკი) 0:2, „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 0:3.

---

# მეორე ლიგა

**7 ოქტომბერს** გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები. ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ ამ მატჩების შესახებ:

### „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „დინამო“ (კიროვი) 3:3

ამ უხვგოლიანი მატჩის მსვლელობა ერთობ საინტერესო გამოდგა: უტევდნენ სამტრედიელები, გოლები კი კიროველებს გაჰქონდათ. ჯერ ჩახუნაშვილმა მოახვედრა ძელს ბურთი, შემდეგ მეკარე ბუბნოვმა აიღო დვალიშვილის ძლიერი დარტყმა, მაგრამ „დინამომ“ კარგად გაითამაშა ერთ-ერთი კომბინაცია, რომელიც გოლით დაამთავრა სოკოლოვმა.

განახლდა თამაში შესვენების შემდეგ და უსატოვისა და სოკოლოვის დარტყმების შემდეგ ანგარიში გახდა 3:0 კიროვის „დინამოს“ სასარგებლოდ.

მატჩი თითქოს უიმედოდ იყო წაგებული, მაგრამ ლოკომოტიველებმა არ დაყარეს ფარ-ხმალი, ჯერ ქორიძემ, შემდეგ დვალიშვილმა და ცუცქირიძემ იხსნეს ქულა — 3:3.

ა. სირაძე.

### „დინამო“ (ზუგდიდი) — „რუბინი“ (ყაზანი) 0:2

ზუგდიდელი ფეხბურთელების მიმართ გულშემატკივრებს სასაყვედურო არა აქვთ: გუნდი თამაშობს მონდომებით, სრულად ავლენს თავის შესაძლებლობებს და გათამაშების ცხრილშიც კარგად გამოიყურება, მაგრამ „რუბინთან“ შეხვედრამ მაყურებლები ამჯერად გააწბილა. დინამოელებმა პირველი მარცხი იწვნიეს საკუთარ მინდორზე და დაკარგეს უკიდურესად საჭირო ქულები, თუმცა შეხვედრის მსვლელობაში ჰქონდათ ხელსაყრელი მომენტები, რომელთა გამოყენება თავიდან აგვარიდებდა დამარცხებას.

მასპინძლები საკმაო დროის მანძილზე უტევდნენ. ანგარიშის გახსნის კარგი შესაძლებლობა დაკარგა ნაჭყებიამ, თუმცა ასეთივე მომენტი ვერ გამოიყენა ყაზანელმა სემიონოვმაც. 35-ე წუთზე „რუბინის“ სწრაფი კონტრიერიში გოლით დაამთავრა კამალდინმა — 1:0.

შესვენების შემდეგ თამაში კვლავ დინამოელთა იერიშებით მიმდინარეობდა, ისევ დაიკარგა გოლის გატანის კარგი მომენტები (ბ. თუთბერიძე, დარჯანია). 85-ე წუთზე „რუბინმა“ კიდევ ერთხელ შეძლო კონტრიერიშის განხორციელება, რომელიც მეორე გოლით დაამთავრა აგაფონოვმა.

ბ. ალშიბაია.

### „დილა“ (გორი) — „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) 3:0

პირველი 30 წუთის მანძილზე ბრძოლას თანაბარი ხასიათი ჰქონდა, „დრუჟბის“ ფეხბურთელები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მასპინძლებს, მაგრამ შემდეგ თანდათან გამოიკვეთა გორელთა უპირატესობა, რაც 34-ე წუთზე პირველი გოლითაც აღინიშნა: მეკარესთან პირისპირ გასული ხაჩატურიანი უხეშად წააქციეს, პენალტი ზუსტად დაარტყა ბუზალაძემ — 1:0. გავიდა 3 წუთი და ბუზალაძემ მეორედ აიძულა მეტოქე ცენტრიდან დაეწყო თამაში.

შესვენების შემდეგ „დრუჟბამ“ კვლავ შესთავაზა შეუპოვარი ბრძოლა მოწინააღმდეგეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც „დილის“ დებიუტანტმა ახალკაცმა მესამე ბურთის გატანა შეძლო, მატჩის შედეგიც საბოლოოდ გაირკვა.

ი. თევდორაშვილი.

### „დინამო“ (ბათუმი) — „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) 2:0

ბათუმელთა უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა პირველივე წუთებიდან. წარმატების მიღწევა შეეძლოთ ჯერ ბეჟანიძეს, შემდეგ ესებუას, კაკალაძეს. „ურალეცის“ მცველები მე-20 წუთამდე უმკლავდებოდნენ დინამოელთა იერიშებს, მაგრამ ერთ-ერთ მომენტში კარგად ითამაშა ესებუამ და ბადეში გაგზავნა ბურთი. მცირე ხანში გორგილაძემ მეორედ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

მეორე ტაიმში ბათუმელებს შეეძლოთ გაეზარდათ ანგარიში, თუმცა მათს იერიშებს შედეგი აღარ გამოუღია.

გ. მურვანიძე.

### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „გურია“ (ლანჩხუთი) — „ზვეზდა“ (პერმი) 2:1, „დინამო“ (სოხუმი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 0:0, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) 2:0, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „გაზოვიკი“ (ორენბურგი) 2:1, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 3:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „ტორპედო“ (ტოლიატი) 0:0, „პროგრესი“ (კიროვაბადი) — კოტაიკი“ (აბოვიანი) 0:1.

• • •

ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით არასწორად იყო გამოქვეყნებული 2 ოქტომბრის მატჩის შედეგი ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდსა და ბაქოს „ავტომობილისტს“ შორის. გაიმარჯვა „ავტომობილისტმა“ — 2:0.

## ჭადრაკი

### შეცდომა ენდშპილში

შაბათ-კვირას ბაგიოში (ფილიპინები) ვაჟთა შორის მსოფლიო პირველობაზე ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩში XXIX პარტია გათამაშდა.

მეტოქეებმა ინგლისური დასაწყისი გაითამაშეს. პრეტენდენტმა უფრო თავისუფალი პოზიცია მიიღო, რაც შემდეგ ენდშპილშიც შეინარჩუნა. მერე კორჩნოი ეტლით შეიჭრა ჩემპიონის განლაგებაში. 41-ე სვლაზე პარტია გადაიდო.

თამაშის განახლებისას კარპოვმა გახსნა პოზიცია და მეტოქის ფიგურებმა მოქმედებისთვის ვრცელი ტერიტორია მიიღეს. კორჩნოიმ მოიგო პაიკი და შემდეგ პარტიაც.

აი, ეს პარტია:

**კორჩნოი — კარპოვი**

**ინგლისური დასაწყისი**

1. c4 მf6 2. მc3 e6 3. e4 c5 4. e5 მg8 5. d4 cd 6. ლ:d4 მc6 7. ლe4 d6 8. მf3 de 9. მ:e5 მf6 10. მ:c6 ლb6 11. ლf3 bc 12. კe2 კb7 13. 0—0 c5 14. ლh3 კe7 15. კf3 0—0 16. b3 ეfd8 17. კe3 კc6 18. მa4 ლc7 19. კ:c6 ლ:c6 20. ეad1 ეac8 21. ლg3 კd6 22. ლh4 კe7 23. f3 მფf8 24. ლf2 ე:d1 25. ე:d1 ლc7 26. ლg3 ლ:g3 27. hg h5 28. მფf2 მფe8 29. მფe2 g6 30. მc3 a6 31. მa4 ეc6 32. ეh1 კd6 33. კf2 მd7 34. g4 hg 35. ეh8+ მფe7 36. fg g5 37. კe3 f6 38. მc3 მფf7 39. ეh7+ მფe8 40. მe4 კe7. 41. ეh6 (ჩაწერილი სვლა) მფf7 42. ეh7+ მფf8 43. ეh8+ მფf7 44. კd2 მf8 45. ეh1 მფg6 46. ეd1 f5 47. მf2 კd6 48. კc3 მd7 49. gf+ ef 50. g4 მb6 51. მფf3 კe7 52. კa5 ეf6 53. მფg2 fg 54. მ:g4 ეe6 55. მფf3 კf6 56. მ:f6 ე:f6+ 57. მფg4 მc8 58. კd8 ეf4+ 59. მფg3 ეf5 60. a4 მფf7 61. ეd3 ეe5 62. მფg4 მფg6 63. a5 ეe4+ 64. მფf3 ეf4+ 65. მფe3 ეh4 66. ეd5 ეh3+ 67. მფd2 ე:b3 68. ე:c5 ეb8 69. ეc6+ მფf5 70. ე:a6 g4 71. ეf6+ მფe4 72. კc7 ეb2+ 73. მფc3 ეb7 74. კh2 ეh7 75. კb8 ეb7 76. კg3 ეb1 77. ეf4+ მფe3 78. ეf8 მe7 79. a6. შავებმა დანებდნენ

ამრიგად, ქულით წინაა ა. კარპოვი — 5:4 (20 ყაიმი).

### ხუგაშვილის კარგი სტარტი

**ნიკოლაევი**, 7 ოქტომბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ქალთა 38-ე ჩემპიონატის ფინალში გუშინ მოეწყო პირველ სამ ტურში გადადებული პარტიების დამთავრება.

ორი გამარჯვება იზეიმა საქართველოს ჩემპიონმა თ. ხუგაშვილმა, რომელმაც სძლია ი. ერუსლანოვას (ვორონეჟი) და მ. წერეთელს. ე. სტერნინასთან (მოსკოვი) პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

ორი შეხვედრა წააგო ი. გურიელმა. მას მოუგეს, ტ. ზატულოვსკაიამ (მოსკოვი) და ლ. ლისენკომ (კიევი). მისი პარტია ლ. ზაიცევასთან (მოსკოვი) არ გათამაშებულა.

I ტურიდან გადადებულ პარტიებში ლ. სემიონოვამ (კიევი) მოუგო თ. მინოგინას (მოსკოვი), ტ. ფომინამ (ტალინი) — სტერნინას, ე. ფატალიბეკოვამ (მოსკოვი) — ლისენკოს, ხოლო ზაიცევა — თ. ვორონინა (ნაბერეჟნიე ჩელნი) დაზავდნენ. II ტურიდან დაუმთავრებელ შეხვედრებში ვორონინამ მოუგო ტ. ჩეხოვას (მოსკოვი), ფატალიბეკოვამ — ერუსლანოვას. ყაიმზე შეთანხმდნენ მინოგინა — ფომინა. III ტურიდან გადადებულ პარტიებში ი. ლევიტინამ (ლენინგრადი) გაიმარჯვა ფომინასთან, ვორონოვამ — ლ. პოლნარევასთან (ლენინგრადი), დაზავდნენ ჩეხოვა — ზატულოვსკაია, ტიტორენკო — მინოგინა და ლისენკო — ერუსლანოვა.

IV ტურში წარმატებით იბრძოლა გურიელმა, რომელმაც ერუსლანოვას მოუგო. მეოთხე ქულა ჩაიწერა ფატალიბეკოვამ. მან სტერნინა დაამარცხა. ლევიტინამ მოუგო ტიტორენკოს, ლისენკომ — წერეთელს.

დაზავდნენ მინოგინა — ხუგაშვილი, ზატულოვსკაია — პოლნარევა და ზაიცევა — ჩეხოვა. ორი პარტია გადაიდო.

4 ტურის შემდეგ ლიდერობენ ე. ფატალიბეკოვა — 4 ქულა, ლ. სემიონოვა — 3 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ი. ლევიტინა — 3, თ. ხუგაშვილი, ტ. ვორონოვა — 2,5-2,5 (1-1).

**გ. მაჟავარიანი.**





## სპორტი — შრომის სამსახურში

**ალმა-ათის** სახლმშენებლობის კომბინატში სპორტს მისდევს ყოველი მეორე მუშა და მოსამსახურე. საწარმოს სპორტულ კლუბში გაერთიანებულია საამქროებისა და განყოფილებების ფიზკულტურის 24 კოლექტივი, 23 სექცია, ბავშვთა სპორტული სკოლები და ტურისტული კლუბი. მეცადინეობას ხელმძღვანელობენ გამოცდილი მწვრთნელები, წარსულში ცნობილი სპორტსმენები.

**სურათებზე:** კლუბის აფროსნები კაპჩაგაის წყალსაცავზე; ტურისტები ზაილის ალათაუში; მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი ძალოსნობაში ვლადიმირ დრეკსლერი (მარჯვნივ) და პირველთანრიგოსანი ვასილი შურაიკინი.

საკდესის ფოტოქრონიკა.



## ოთხი „ოქრო“

**ბულგარეთის** დედაქალაქ სოფიაში, „უნივერსიადას“ სპორტულ დარბაზში დამთავრდა მსოფლიოს III ჩემპიონატი აკრობატიკაში, რომელშიც ძალზე მეტი საუკეთესო სპორტსმენი გამოდიოდა 10 ქვეყნიდან: ბელგიიდან, ბულგარეთიდან, ინგლისიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან, აშშ-დან, საფრანგეთიდან, გფრ-იდან, შვეიცარიიდან, სსრ კავშირიდან.

პირველი ოქროს მედალი საბჭოთა ნაკრებს აკრობატულ ხტომებში მოუტანა 20 წლის სტავროპოლელმა სტუდენტმა ლიუდმილა ცვგანოვამ, რომელმაც მეორედ მიაღწია ასეთივე დიდ წარმატებას. ჩვენმა მეორე სპორტსმენმა — ვალენტინა ჩუხარევამ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მეორე ადგილზეა ბულგარელი მელა მუსტაფოვა.

ამავე სახეობაში ვაჟთა შორის უძლიერესი იყო სტავროპოლელი ალექსანდრე რასოლინი. იაროსლაველი იგორ ბრიკმანი მეორე ადგილზეა, ამერიკელი სტივ ელიოტი — მესამეზე.

კვლავ არ ჰყავდათ ტოლი ქალთა წყვილებს შორის მსოფლიო ჩემპიონებს, კიეველებს ნადეჟდა ტიმჩენკოსა და მარგარიტა კუხარენკოს. მასპინძლები სტეფკა გენჩევა და ტანია ხრისტოვა მეორე ადგილზე გავიდნენ. ბრინჯაოს მედლები გადაეცათ პოლონელებს ევა რუცკისა და ევა ანდრუშევსკას. შერეულ წყვილთა შორის გაიმარჯვა მსოფლიოს თასის მფლობელმა, ბულგარელთა „დუეტმა“ — მარგარიტა მოლოვამ და დიმიტრ მინაჩევმა. მსოფლიო ჩემპიონები, ვორონეჟელი აკრობატები ტატიანა კრივცოვა და ვიაჩესლავ კუზნეცოვი ამჯერად მეორე ადგილზე გავიდნენ. მესამენი იყვნენ ამერიკელები ეიმი მონტგომერი და ჯეიმს გროუნზი.

## კალათბურთი

### სამი მატჩი — სამი გამარჯვება

**საგვოთა** კალათბურთელებმა მანილაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატში კიდევ ერთი რიგით მესამე გამარჯვება იზეიმეს, ანგარიშით 107:85 (64:36) დაამარცხეს კანადის ნაკრები. კარგად ითამაშეს ბელოვმა და ტკაჩენკომ, პირველმა გუნდს 23 ქულა შესძინა, მეორემ — 19.

ოლიმპიურმა ჩემპიონებმა აშშ-ს კალათბურთელებმა მეორე მარცხი იწვნიეს; ამჯერად დამარცხდნენ იუგოსლავიელებთან — 93:100. ეს ევროპის ჩემპიონის მეოთხე გამარჯვებაა. იტალიელებმა მოუგეს ავსტრალიელებს — 87:69.

გუშინ ჩვენი ქვეყნის ნაკრები ისვენებდა, დღეს კი ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრაა, სსრ კავშირი — იუგოსლავია.

## ფეხბურთი

### „მილიონთა თასი“ — კალუგელებს

**განვლილ** კვირას რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონზე შედგა ფიზიკური კულტურის კოლექტივების ფეხბურთელთა თასის საკავშირო გათამაშების ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ „ზარია“ (კალუგა) და „ბოლშევიკი“ (კიევი).

კალუგელებს პაგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ მატჩის მსვლელობაში, მაგრამ ძირითადმა და დამატებითმა დრომ განვლო ისე, რომ ანგარიში არ გახსნილა — 0:0. გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი 11-მეტრიანების სერია, სადაც უფრო ზუსტნი კალუგელები აღმოჩნდნენ — 4:2. საპატიო თასი წილად ხვდა „ზარიას“, აღსანიშნავია, რომ კალუგელები ზედიზედ მეორედ გახდნენ „მილიონთა თასის“ მფლობელები.

### მხიარული ფანქრით



უსიტყვოდ.

ა. ოქროპირიძის ნახატი.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ 39-ე ტირაჟებისა — 6-49-დან და 5-36-დან.

„სპორტლოტო 6-49-დან“ პირველ გათამაშებაში ისინი ვინც ხუთი პლიუს ერთი ნომერი ამოიცნეს, მიიღებენ 2067 მანეთს, ხუთი ნომრის ამოცნობისთვის მოგება 106 მანეთია, ოთხი პლიუს ერთი ნომრის ამოცნობისთვის — 54 მან., ოთხი ნომრის ამოცნობისთვის — 29 მან., სამისთვის — 3 მანეთი.

მეორე გათამაშებაში ხუთი ნომრის ამომცნობნი მიიღებენ 308 მანეთს თითოეული, ოთხი პლიუს ერთი ნომრის ამოცნობისთვის — 87 მან, ოთხი ნომრისთვის — 62 მან., სამისთვის — 3 მან.

„სპორტლოტო 5-36-დან“ პირველ გათამაშებაში 5 გამოცნობილ ნომრისთვის მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის — 131, სამისთვის — 5

მეორე გათამაშებაში 5 ამოცნობილი ნომრისთვის მოგება შეადგენს 10000 მანეთს, ოთხისთვის — 329, ხოლო სამისთვის — 7 მანეთი.

„სპორტლოტოს“ 39-ე ტირაჟების მოგებათა გაცემა იწარმოებს 11 ოქტომბრიდან 11 ნოემბრის ჩათვლით.

**შაბათს**, 7 ოქტომბერს გაიმართა „სპორტლოტოს“ მე-40 ტირაჟები.

აი, ბედნიერი ნომრები და სახეობები:

**6-49-დან:**

პირველი — 4 (ალპინიზმი), 6 (კალათბურთი), 30 (აფროსნობა), 36 (სლალომი), 38 (მშვილდოსნობა), 44 (ფიგურული სრიალი). შემავათიანი ბურთულა 41 (ჩოგბურთი).

მეორე — 1 (ავიასპორტი), (აკრობატიკა), 20 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 33 (რაგბი), 35 (სპიდვეი), 41 (ჩოგბურთი). შემავათიანი ბურთულა 2 (ავტოსპორტი).

**5-36-დან:**

პირველი — 11 (ტანვარჯიში), 14 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 15 (ძიუდო), 22 (ცურვა), 23 (წყალში ხტომა).

მეორე — 1 (კალათბურთი), 6 (კლასიკური ჭიდაობა), 7 (ტრეკზე ველორბოლა), 25 (ციგაობა), 30 (სასტენდო სროლა).

## ჩოგბურთი

### ვის შეხვდება ჯილდო?

**დევისის** თასის გათამაშების გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან აშშ-ის და ინგლისის გუნდები. ამერიკელებმა ნახევარფინალში გეტებორგში სძლიეს შვეციის ნაკრებს — 3:2, ხოლო ინგლისელებმა ლონდონში ასეთივე ანგარიშით მოუგეს ამ პრიზის მარშანდელ მფლობელს — ავსტრალიის გუნდს.

საინტერესოა, რომ ინგლისელებმა უკვე პირველი ორი დღის შემდეგ მოიპოვეს გამარჯვების სამი ქულა. პირველმა წარმატებას მიაღწია მათმა 23 წლის ჩოგბურთელმა ბასტერ მოტრამმა, რომელმაც სძლია ავსტრალიელთა ვეტერანს, 33 წლის ტონი როჩს — 8:6, 3:6, 7:5, 6:4. ეს მომქანცველი ორთაბრძოლა სამსაათნახევარს გრძელდებოდა.

ამის შემდეგ ჯონ ლოიდმა (ინგლისი) დაჯაბნა ჯონ ალექსანდერი — 7:5, 6:2, 6:4. არ გაუმართლა ავსტრალიელებს წყვილთა თანრიგშიც, რომელშიც უიმბლდონის 1977 წლის ტურნირში გამარჯვებულებმა როს კეისიმ და ჯეფ მასტერსმა წააგეს მასპინძლებთან მარკ კოქსთან და დევიდ ლოიდთან — 6:8, 6:3, 4:6, 3:6.

ორ დანარჩენ ერთეულთა შეხვედრაში, რომლის შედეგს უკვე მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, როჩმა სძლია ლოიდს — 6:3, 6:3, 6:2, ხოლო ალექსანდერმა — მოტრამს — 6:2, 6:3, 6:2.

აღსანიშნავია, რომ ჩოგბურთის მამამთავრებმა, ინგლისელებმა 1937 წლის შემდეგ პირველად მოიპოვეს დევისის თასის გათამაშების ფინალში მონაწილეობის უფლება.

რაც შეეხება შვეციის ნაკრებს, რომელიც ამერიკელებს მასპინძლობდა, მას ვერც მშობლიურმა კედლებმა უშველა და ვერც მისი ლიდერის, 22 წლის ბიორნ ბორგის (იგი ახლა მსოფლიოს პირველ ჩოგბურთელად ითვლება) ტიტანურმა შემართებამ. ბ. ბორგმა მოუგო უიმბლდონ-75-ის ჩემპიონს, 35 წლის ვეტერანს არტურ ეშს — 6:4, 7:6, 6:3 და მსოფლიოს კლასიფიკაციით მესამე ჩოგბურთელს ვიტას გერულაიტისს — 6:3, 6:1 (ეს შეხვედრა სამი პარტიისგან შედგებოდა, ვინაიდან მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო).

უნდა ითქვას, რომ ბ. ბორგს თანაგუნდელებმა ვერ გაუწიეს საკადრისი პარტნიორობა: ჩელ იუჰანსონმა წააგო გერულაიტისთან და ეშთან. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წყვილთა შეხვედრას, რომელშიც ბ. ბორგთან ერთად გამოდიოდა უვე ბენგტსონი. სწორედ მისი წყალობით წააგეს შვედებმა სტენ სმიტთან და ბობი ლუტცთან — 6:2, 2:6, 6:3, 5:7, 3:6.

ამრიგად, დევისის თასი — ვერცხლის დიდი სასალათე — მორიგ მფლობელს ელის. ამ პოპულარული პრიზის გათამაშების 78 წლის მანძილზე მას 25-25-ჯერ ფლობდნენ ავსტრალიისა და აშშ-ის ჩოგბურთელები. ახლა ამერიკელებს შანსი აქვთ უკან მოიტოვონ თავიანთი მუდმივი მეტოქეები, მით უფრო, რომ ფინალი მათ კორტებზე გაიმართება დეკემბერში.

რედაქტორის მოადგილე **ზ. ჯაფარიძე.**

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-68-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 13314